

კომპლექტაცია

ორგანიზაციაში შესაძლებელია ძირითადი საშუალების მიღება მოხდეს სანცობში. ექსპლუატაციაში გამწვებამდე ასეთ ძირითად საშუალებებს არ ასახავენ ძირითადი საშუალებების სიაში , არ არიცხავენ ცვეთას და არ ასრულებენ ძირითადი საშუალებების ოპერაციებს. მათ იღებენ როგორც ჩვეულებრივ საქონელს. სისტემაში არსებობს საქონლისთვის ძირითადი საშუალების სტატუსის მინიჭების განსხვავებული გზები.რამდენიმე

- 1.დასაწყობებული საქონლის ძირითადი საშუალების სიაში გადმოტანა.
2. რამდენიმე დასახელების საქონლის კომპლექტაციით ერთი დასახელების ძირითადი საშუალების შექმნა
- 3 რამდენიმე დასახელების საქონლის კომპლექტაციით არსებული ძირითადი საშუალების ღირებულების ცვლილება.

სამივე შემთხვევისთვის სისტემაში არსებობს კომპლექტაციის ოპერაცია. სანამ შევასრულებდეთ კომპლექტაციის ოპერაციას სანცობში მივიღოთ ორი საქონელი-მაგიდა და სკამები. იხ. დოკუმენტაცია „საქონლის მიღება“

ოპერაციის თარიღი 14.11.2021 00:00:00 დოკუმენტის 1

გამყიდველი/მომწოდებელი მიმღები სხვადასხვა გატარებები

გამყიდველი 202202202 შპს "მომწოდებელი" ჩვეულებრივი

მომწოდებელი 202202202 შპს "მომწოდებელი"

მომწოდებლის მისამართი

გადახდის ვადა

ღირებულების ცენტრი საერთო ღირებულების ცენტრი


ვალუტა GEL კურსი 1


კომენტარი



საგნები ხარჯის გადასანაწილებელი ინვოისების საგნები თანხა 2700.00


კოდი	საგანი	რაოდენობა	ერთეულ	ფასი	თანხა	დღგ განაკვეთი	დღგ	ერთეულ აქციზი	აქციზი	უსასყ მიღებ	საგნის ტიპი	არის ინვოი ბარჯი	სააღრიცხ მშობელი ანგარიში	მომწოდებლის საგნის კოდი
1	0004 სკამი	6.0000	ცალი	200.00	1200.00	0.00				<input type="checkbox"/>	საქონელი	<input type="checkbox"/>	1690	
2	0005 მაგიდა	1.0000	ცალი	1500.00	1500.00	0.00				<input type="checkbox"/>	საქონელი	<input type="checkbox"/>	1690	
					2700.00									


შევიწახოთ უარი

მიღების ოპერაციის დასრულების შემდეგ გამოიძახეთ ძირითადი საშუალებების სია და დააჭირეთ ღილაკს-  . იხილავთ ეკრანს:



მიუთითეთ ოპერაციის თარიღი, დოკუმენტის ნომერი და სასურველი კომენტარი. ეკრანზე არსებულ სიაში- „შეიყვანეთ საქონელი“ უნდა დავამატოთ იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კომპლექტაციის ოპერაციაში. ამისათვის დააჭირეთ დამატების ღილაკს . სიაში დაემატება ჩანაწერი. გააკორექტირეთ კოდის ველი და შეიტანეთ საქონლის კოდი ან დასახელება. ჩამოიშლება ყველა იმ საქონლის სია, რომელთა დასახელებაც ან კოდი იწყება თქვენს მიერ აკრეფილი სიმბოლოებით. ან გააკორექტირეთ აღნიშნული ველი და დააჭირეთ ღილაკს . ეკრანზე იხილავთ საგნების სიას, საიდანაც შეგიძლიათ მონიშნოთ სასურველი (ერთი ან რამდენიმე) ჩანაწერი. ჩვენს შემთხვევაში ავირჩიოთ ახლად დამატებული სკამი და მაგიდა.



სიაში დაემატა ორივე საქონელი. თითოეული ჩანაწერის გასწვრივ მითითებულია რაოდენობა, ანგარიშის ნომერი და ერთეული. ველში „რაოდენობა“ უნდა მიუთითოთ ის რაოდენობა, რამდენის გადმოტანაც გინდათ ძირითადი საშუალებების სიაში. ვინაიდან ჩვენი მიზანია მიღებული 6 ცალი სკამის გადმოტანა ძირითადი საშუალებების სიაში, შესაბამისად სკამის გასწვრივ რაოდენობის ველში მიუთითეთ 6. ასევე აუცილებელია მიუთითოთ ღირებულების ცენტრი. ამისათვის თითოეული ჩანაწერის გასწვრივ აირჩეთ სასურველი ღირებულების ცენტრი ან მონიშნეთ ჩანაწერები (უნდა მონიშნოთ ველი „ღირებულების ცენტრი“), დააჭირეთ ღილაკს .


	კოდი	დასახელება	რაოდენობა	საგნის ანგარიში	ერთეული	ღირებულების ცენტრი
	0004	სკაში	1	1690	ცალი	
▶	0005	მაგიდა	1	1690	ცალი	<input type="text"/>

ღილაკზე დაჭერით გამოტანილ სიიდან აირჩიეთ ღირებულების ცენტრი და დააჭირეთ კლავიატურაზე enter-ს. დაინახავთ, რომ თქვენს მიერ არჩეული ღირებულების ცენტრი მიეთითება ყველა მონიშნულ ჩანაწერს.

განვიხილოთ ეკრანის ქვედა ნაწილში არსებული სამი მოსანიშნი



- შეიქმნას საგნების შესაბამისი მ.ს-ებები
- შეიქმნას ერთი მ.ს
- შევიტანოთ არსებულ მ.ს-აში

პირველი მოსანიშნის მონიშვნის შემთხვევაში შეიქმნება სიაში არსებული საქონლის შესაბამისი ახალი ძირითადი საშუალებები. დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი.“




ძირითადი საშუალების დასახელება	ძირითადი საშუალების რაოდენობა	ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების ანგარიში	ძირითადი საშუალების ერთეული	ძირითადი საშუალების ღირებულების ცენტრი
სკაში	6		ცალი	საერთო ღირებულების ცენტრი
მაგიდა	1		ცალი	საერთო ღირებულების ცენტრი

როგორც ხედავთ სისტემამ გაგიშვებდათ ძირითადი საშუალებების სია. თითოეული ძირითადი საშუალების გასწვრივ მიუთითეთ საბალანსო ღირებულების ანგარიში, რომელზეც უნდა აისახოს ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება და შესრულდეს ბუღალტრული გატარება. ამისათვის გააკორექტირეთ ანგარიშის ველი, მიუთითეთ ანგარიშის ნომერი ან ღილაკზე დაჭერით გამოტანილ ანგარიშთა გეგმიდან აირჩიეთ სასურველი ანგარიში. შეგიძლიათ ერთი და იგივე ანგარიში მიუთითოთ რამდენიმე ძირითად საშუალებას ერთდროულად. ამისათვის მონიშნეთ


სასურველი ჩანაწერები (მონიშნეთ ველი „ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების ანგარიში“) დააჭირეთ ღილაკს-. გააქტიურებულ ველში აკრიფეთ ანგარიშის ნომერი ან ღილაკით  გამოიძახეთ ანგარიშთა გეგმა და აირჩიეთ სასურველი. დააჭირეთ კლავიატურაზე enter-ს. დაინახავთ, რომ თქვენს მიერ არჩეული ანგარიში მიეთითება ყველა მონიშნულ ჩანაწერს. ჩვენს შემთხვევაში მიუთითეთ 2170.


დავბრუნდეთ წინა ეკრანზე და განვიხილოთ მე-2 მოსანიშნი „შეიქმნას ერთი ძირითადი საშუალება“. ამ შემთხვევაში ეკრანის პირველ გვერდზე, საქონლის სიაში არსებული ჩანაწერებისთვის შეიქმნება ერთი ძირითადი საშუალება. მონიშნეთ მე-2 მოსანიშნი და დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი.“



მიუთითეთ დასახელება, რაოდენობა (შეიძლება ჩამოინეროს ბევრი საქონელი სხვადასხვა რაოდენობით და შეიქმნას ერთი ერთეული ძირითადი საშუალება). შეავსეთ ძირითადი საშუალებისთვის საჭირო ველები. ამ შემთხვევაში ეკრანის პირველ გვერდზე არსებული საქონელი ჩამოინერება და ჩამონერილი საქონლის ღირებულებით შეიქმნება ერთი სახეობის ახალი ძირითადი საშუალება.


დავბრუნდეთ კვლავ წინა ეკრანზე, მონიშნეთ მე-3 მოსანიშნი და დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი.“



მე-2 მოსანიშნისგან იმით განსხვავდება, რომ ამ შემთხვევაში არ იქმნება ახალი ძირითადი საშუალება. არსებული ძირითადი საშუალების ღირებულება იზრდება ეკრანის პირველ გვერდზე არსებული ჩამონერილი საქონლის ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში ველში „აირჩიეთ ძირითადი საშუალება“ მიუთითეთ იმ ძირითადი საშუალების კოდი ან დასახელება, რომელსაც უზრდით ღირებულებას. ჩამოიშლება ყველა იმ ძირითადი საშუალების სია რომელთა კოდიც ან დასახელება იწყება თქვენს მიერ აკრეფილი სიმბოლოებით ან ღილაკით  გამოტანილ ძირითადი საშუალებების სიიდან აირჩიეთ სასურველი.

ჩვენ განვიხილეთ სამივე მოსანიშნის მუშაობის პრინციპი.

მაგალითისთვის შევასრულეთ პირველი მოსანიშნის შესაბამისი ოპერაცია, ანუ შექმნათ საქონლის შესაბამისი ახალი ძირითადი საშუალებები. ამისათვის დავბრუნდეთ წინა ეკრანზე და მონიშნეთ „შექმნას საგნების შესაბამისი d/ს-ები“ და დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“. ეკრანი დაგზვდებათ უკვე შევსებული. ოპერაციის გასაგრძელებლად გადადით მომდევნო გვერდზე.




მოსანიშნის „ვნახოთ შექმნილი d/ს -ები“ მონიშვნის შემთხვევაში ოპერაციის დასრულების შემდეგ ეკრანზე იხილავთ შექმნილი ძირითადი საშუალებების სია. ხოლო თუ მონიშნავთ „ვნახოთ ოპერაციის ტრანზაქცია“, ეკრანზე იხილავთ კომპლექტაციის ოპერაციის შესაბამის საბუღალტრო გატარებებს. დააჭირეთ ღილაკს „დასასრული“


კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეული	ცვეთის დარიცხვის მეთოდი	საინვენტარიზო ნომერი	წარმოების თარიღი	მიღების თარიღი	აქტივობის თარიღი
6	სკამი	6	ცალი	არცერთი				
11	მაგიდა	1	ცალი	არცერთი				

როგორც ხედავთ სიაში დაემატა ორი ახალი ძირითადი საშუალება. ის თუ რატომ აქვს მწვანე შეფერილობა იხ. დოკუმენტაცია „ძირითადი საშუალების დამატება და სასტარტო ნაშთის დასმა“. დახურეთ ეკრანი. იხილავთ კომპლექტაციის ოპერაციის შესაბამის ბუღალტრულ გატარებებს

ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტო თანხა	კრედიტო თანხა	ვალუტა	ღირებულების ცენტრი	დებიტო რაოდენობა	კრედიტო რაოდენობა	ერთეული
1	2170 20 6 სკამი	1,200.00		GEL	საერთო ღირ...	6,0000		ცალი
2	1690 4 0004 სკამი		1,200.00	GEL	საერთო ღირ...		6,0000	ცალი
3	2170 21 21 მაგიდა	1,500.00		GEL	საერთო ღირ...	1,0000		ცალი
4	1690 5 0005 მაგიდა		1,500.00	GEL	საერთო ღირ...		1,0000	ცალი
		2,700.00	2,700.00					

დახურეთ ეკრანი. ძირითადი საშუალებების შექმნის შემდეგ აუცილებლად უნდა განუსაზღვროთ თითოეულ ძირითად საშუალებას ცვეთის დარიცხვის მეთოდი და შეავსოთ ყველა საჭირო ველი.

საბუღალტრო ოპერაციის ნახვა ასევე შეგიძლიათ ძირითადი საშუალების სიიდან. ამისათვის დადებით კომპლექტაციის ოპერაციით შექმნილ ძირითად საშუალებაზე და დააჭირეთ ლილაკის  გვერდით მდებარე შავ ისარს. ჩამოიშლება ჩამონათვალი:



აირჩიეთ „გატარებები“

გა	დი	ოპერაციის ტიპი	დოკუმენტის ნომერი	ოპერაციის თარიღი	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტის თანხა	კრედიტის თანხა	ვალუტა	ლიზინგის ცენტრი	დებიტის რაოდენობა	კრ
▶ 1			1	14.11.2021 14...	2170 20	6 სკამი	1,200.00		GEL	საერთო ლი...	6.0000	

გაითვალისწინეთ, რომ კომპლექტაციის ოპერაციის ნაშლის შემდეგ ძირითადი საშუალებები არ წაიშლება სიიდან და ანგარიშთა გეგმაშიც დარჩება ძირითადი საშუალების შესაბამისი ანგარიშები.